ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ ოქტომბერი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ფინანსთა სამინისტროს აკადემიისათვის“
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო
უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ------ ოქტომბრის №---------- ------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ფინანსთა სამინისტროს აკადემიისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №206348987) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, სადგურის მოედნის ქუჩა №3 ა-ში (ყოფილი №3) მდებარე შენობა-ნაგებობის მესამე სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართის (ფართობით 583.14 კვ.მ. (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.27.006.01.502) სარგებლობაში გაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ფინანსთა სამინისტროს აკადემიის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №206348987) არსებობის ვადით.

მუხლი 3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ფინანსთა სამინისტროს აკადემიის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №206348987) მიერ სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებული იქნას სატრენინგო მომსახურების გაწევის მიზნით.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი